

## რთულ სიტყვათა კომპონენტების ისტორიული მონაცემებისათვის მებრუნში

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ კომპოზიცია (თხზვა), როგორც ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალება, მეტ-ნაკლებად გამოყენებულია თითქმის ყველა სისტემის ენაში.

მებრუნლ დიალექტში კომპოზიტი მიიღება ფუძის გაორკეცვებითა და სხვადასხვა ფუძის შეერთებით (ყოფშიძე 1914; თოფურია 1959; სანიკიძე 1977). მეორე ტიპის კომპოზიციის მაერთებელი საშუალებანი და შემადგენელი კომპონენტები ნაირგვარია.

მებრუნლში მოგვეპოვება სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული კომპოზიტები, რომელთა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ან ქართულიდანაა შეთვისებული, ან კიდევ ნასესხებია სხვა ენიდან (მაგ., ხანგიძე „ხანგრძელი“; მერეთმოსულა → მერეთმოსლა || მერეთმოსლობა ზედმიწ. „მეორედმოსვლა“; გოთანაბორჯი ზედმიწ. „გათენება, დრო,“ სპარს. „ბორჯი“...).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აღნიშნულ სემანტიკურ ჯგუფში შემავალი ისეთი კომპოზიტები, რომელთაც შემადგენელი კომპონენტები ეცვლებათ კომპოზიტის მნიშვნელობის უცვლელად და, აქედან გამომდინარე, პარალელური ფორმები გააჩნიათ. მაგ. ჩხვიჩხ(ვ)-ე(შა)ლაფირი||ფოსეშალაფირი — ზედმიწ. „ფესვამოგდებული“: მუთუნი ვადოსქილადედასგნ თეში ჩხვიჩხეშალაფირი||ფოსეშალაფირი სქანი. („არაფერი არ დარჩენილიყოს, ისე ფესვამოგდებული შენი“). ჩხვიჩხ(ვ)-მონთხორილი||ფოსმონთხორილი—ზედმიწ. „ფესვამოთხრილი“: „ჩხვიჩხმონთხორილი თინეფიში“ („ფესვამოთხრილი იმათი“). ჟინოსქ/კუა → ჟინოსქ/კუა||თავადსქუა — ზედმიწ. 1. ზემოშვილი 2. თავადიშვილი: „ფერ ჟინოსქუა მა ვამოკო, ხე მეუთხუდას ბურჭულიშა. (ბერიძე 1920) („ისეთი აზნაური (თავადი) მე არ მინდა, ხელი ეკიდოს წალღზე“). მარლანიეფი, ჭითანეფი... არძა თავადსქუალეფი რდეს („მარლანიეფი, ჭითანეფი... ყველა თავადიშვილები იყვნენ“).

ჩინჯჩხვიჩხვამი||ჩინჯფესვამი — ზედმიწ. ძირფესვიანი: თიცალი ჯგირი ჩინჯი-ჩხვიჩხვამი ნერგეფი მიღეს მუ. გოკო უჯგუში („ისეთი კარგი ძირ-ფესვიანი ნერგები მოიტანეს, რა გინდა უკეთესი“). ჯგირი ჩინჯფესვამი ნერგი ართის ვაგაცუდენს, არძა ჯგირო ქიხეირენს („კარგი ძირფესვიანი ნერგი ერთს არ ვააცუდებს, ყველა კარგად იხეირებს“).

ცაშხაჩინჯი||ცაშხა დიდი-ზედმიწ. 1 ხუთშაბათძირი 2. ხუთშაბათდიდი. რელიგიური დღე: ცაშხაჩინჯის მუთუნიშ კეთება ვეშილებე („ხუთშაბათძირს არაფრის კეთება არ შეიძლება“). ამარი ქემოდირთეს ცაშხადიდიქ („აგერ მოგვიახლოვდა ხუთშაბათდიდი“).

ართხანს||არ(თ)დროს||არჟამ||ნს||არშვანს — ზედ. ერთ-ხანს||ერთდროს||ერთჟამს: ართხანს მახლო მათედ თენა ილაკიბირაფილი, მარე ასე მივოტე („ერთხანს მეც მქონდა ეს აკვიატებული, მაგრამ ეხლა მივატოვე“); ართხანს ფორმას თავისუფლად ენაცვლება ზემოთ დასახელებული პარალელური ფორმები.

ამავე ჯგუფში განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი, რომლებიც, შეიძლება ითქვას, გაკომპოზიტების გზას აღგანან. მაგალითად: მეგურგინემორდია ||მეჯვარემორდია — ნიშნავს „მეჯვარეს, ხელისმომკიდეს“ (ანთელავა, 1988). იმავე მნიშვნელობით იხმარება „მეჯვარემორდია“. ცალკე „მორდია“ მეგრულში შეიძლება შეგვხვდეს, როგორც „ნათლია, ასევე „ხელისმომკიდის“ მნიშვნელობით.

ჭი(ჭ)ეთანაფა||ოსურეფიშ თანაფა — ზედმიწ. 1. პატარა აღდგომა 2. ქალების აღდგომა; სამეგრელოში აღდგომის დღესასწაულს ჩვეულებრივ „თანაფას“ (ზედ. „გათენება“ „აღდგომა“) უწოდებენ, ხოლო მომდევნო კვირას, რომელსაც ასევე ზეიმობენ სამეგრელოში, „ჭი(ჭ)ე თანაფას („პატარა აღდგომა“) ან „ოსურეფიშ თანაფას“ ზედმიწ. (ქალების აღდგომა).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამის საფუძველი უნდა ვეძიოთ ტრადიციაში, რაც ადრეულ პერიოდში არსებობდა სამეგრელოში. კერძოდ: ქალს არ შეეძლო მამაკაცთან ერთად მაგიდასთან ჯდომა, უფრო მეტიც, მას ამ დროს ოთახშიც კი არ შეეძლო გაჩერება, არ შეეძლო ასევე მეუღლისათვის სახელის დაძახება. ეს ტრადიცია დღესაც არ არის უცხო. მოსალოდნელია, რომ ასეთ შემთხვევაში ქალს არც რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა შეეძლო მამაკაცთან ერთად, რამაც გამოიწვია აღდგომის მომდევნო კვირას ამ დღესასწაულის დამკვიდრება ქალებისათვის. „ჭი(ჭ)ეთანაფასა“ და „ოსურეფიშ თანაფას“ პარალელურად იმავე მნიშვნელობით იხმარება „უფალითანაფა“ (უფლის აღდგომა). ბუნებრივია, იმ პირველ „თანაფაშიც“ უფლის აღდგომა იგულისხმება, მაგრამ ამ ფორმის ჭიჭეთანაფასა და ოსურეფიშ თანაფასთან სემანტიკურად გაიგივების მიზეზი, ალბათ, არის ტრადიციის მოშლა. კერძოდ: დღესდღეობით, როგორც აღდგომის დღესასწაულს, ისე მომდევნო კვირაში არსებულ „ჭიჭე თანაფასა“||ოსურეფიშ თანაფას ზეიმობენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები.

როგორც დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, კომპოზიტის ერთ-ერთ კომპონენტს ცვლის ქართულიდან შეთვისებული ფორმა, რომლის შედეგად მიღებული პარალელური ფორმები ერთმანეთის მიმართ წმინდა სინონიმური წყვილები არიან.

გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს რუსულიდან შემოსული АУХ ფორმის ხმარება კომპოზიტში დუხდინაფილი (ზედმიწ. „სულდაკარგული“) მეგრული „შურდინაფილის“ (ზედმიწ. „სულდაკარგული“) პარალელურად.

პარალელურ „შურდინაფილი“ და „დუხდინაფილი“ ფორმებს ვერ ვუწოდებთ სინონიმურ წყვილებს, რადგან მეგრული „შურდინაფილი“

(სულდაკარგული) გამოყენებულია „გველის“ აღსანიშნავად („ამდღა თიშმადიდა შურდინაფილი ქობძირი, დახე გებხანგი“. „დღეს იმსიდიდე გველი ვნახე, კინალამ გაგვიყდი“), ხოლო „დუხდინაფილი“ ჩვეულებრივ წყევლას გამოხატავს („დუხდინაფილი სქანი“. „შენი „დუხნი“ არ იყოს“). ამდენად, შურდინაფილი||დუხდინაფილი ფორმებს შორის მოხდა შინაარსობრივი დიფერენციაცია და სემანტიკურად ერთმანეთს გაემიჯნა ერთმნიშვნელობიანი სიტყვები.

აღნიშნული ტიპის კომპოზიტები უფრო ხშირად ხასიათდებიან პირველი კომპონენტის ცვლილებით, თუმცა გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც იცვლება კომპოზიტის მეორე წევრი მაგ. ცაშხაჯინჯი||ცაშხადიდი, ართხანს||არ(თ)დროს||ართუანს||ართშვანს...

მიზეზი პარალელური ფორმების გაჩენისა, როგორც ვხედავთ, ქართული ფუძეების შეთვისება და ინტერფერენციის ერთგვარ მოვლენას უნდა წარმოადგენდეს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიძე 1920 — შ.ბერიძე, მეგრული ენა, 1920.
2. თოფურია 1959 — ვ.თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, კომპოზიტი, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1959.
3. სანიკიძე 1977 — ლ.სანიკიძე, რედუბლიკაცია ზანურსა და სვანურში, იკეწ, 1977
4. შანიძე 1953 — ა.შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953
5. ყიფშიძე 1914 — И. Кипшндзе, Грамматика мингрельского (шверского) языка, 1914
6. ძიძიგური 1988 — შ.ძიძიგური, სიტყვის ცხოვრება, 1988.

---

## INGA ARONIA

### ON THE HISTORICAL CHANGE OF COMPONENTS OF SOME COMPOUND WORDS IN MEGRELIAN

1. Compound words of Megrelian dialect are formed by way of duplication of stems - and by joining various stems (I.Kipshidze, V.Topuria, L.Sanikidze). Connectors and components of the second type are of various kinds.

2. Of particular interests are the compounds formed by joining different stems which undergo changes after becoming the component of the compound word, hence becoming the source for parallel forms, as in *šurđinapili//dukhđinapili* ("sinful" - literary, he lost the soul)

3. This type of formation in Megrelian is characterized by the change of the first element.